დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

რედაქცია

ვერის შედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ალუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

ქალაქში „დროებაზე“, „ივერიაზე“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба“ и „Иверіи“

„დროებაზე“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

„დროებაზე“ „ივერიაზე“ ერთად . . 13 მან. . . 7 მან. . 4 მ.

ცალკე { „დროებაზე“ . . . . . 9 მან. . . 5 მან. . 3 მ. „ივერიაზე“ . . . . . 6 მან. . . 4 მან. . 2 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოებით. რულითი ასოზე ნახევარი კაპ. წვრილებრივის ასოთი ასოზე შეთხვედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაბეჭდილ წერილს რედაქცია უოხტით კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

კეტერბურღის ბირჟა, 5 აგვისტოს.

(„ხალხთაშორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

	მან.	კაპ.
ბანკის ბილეთები:		
პირველი გამოცემისა	—	94—37
მეორესი	—	92—25
მესამესი	—	93—56
მეოთხესი	—	92—56
აღმოსავლეთის პირვ.	—	90—75
აღმოსავლეთის მეორე	—	90—86
აღმოსავლეთის მესამე	—	90—25
ოქრო, ½ იმპერიალი	—	7—88
თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი	—	„ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:		
პირველი სესხის	—	215— 5
მეორე სესხის	—	217—25
1 მანეთი ღირს:		
ლონდონი	—	24—08 პენსი
ბამბურღი	—	214—50 ცენტი
პარიჟი	—	264—50 სანტიმი
ვენა	—	129—50 პფენიგი
კავკასიის კერასინი	—	—

შენიშვნა

გაზეთს „კავკაზში“ ორჯელ 235 და 236 ნომერში, აგრეთვე „დროებაში“ 186 ნომერში იყო გამოცხადებული, რომ „დროების“ რედაქცია მოიწვევს ყოველთა ქართული მწერლობის და ისტორიის მოყვარეთა, მობძანდნენ სიონის სობორობში, დღეს ხუთშაბათს, 4 სექტემბერს 12 საათზედ, რათა დაესწრონ პანაშვიდს მარი ივანეს-ძეს ბროსესას, რომელიც გარდაიცვალა ქ. შატელროში, საფრანგეთს.

დროების ფელეტონი, 6 ენკენისთვე

ისტორია იესო ქრისტეს ტანჯვისა და სიკვდილისა *)

წერილი გერმანიიდგან.

(გაგრძელება).

— ძარგათ მიდის თქვენ უნივერსიტეტში ენების სწავლა? ჰკითხა იურისტმა სტუდენტს.

— ძარგა.

— ბასაკვირვია ასე საზოგადო შეშლა.

— როგორ?

— ერთობ დიდ დროს ღუპვენ ამ კლასიკური ენებისთვის. ნეტა რას ფიქრობენ პედაგოგიის წარმომადგენელნი მაღალი პირები? მაგრამ რა პედაგოგები... რას ფიქრობს ის... განათლებული (ირონიულის ხმით) მთავრობა მაღალ-განათლებული პრუსიისა? რაზედ აღუპინებს ახალაზდობას იმოდენა დროს, რაზედ აწვალებს ყმაწვილების ნორჩ ტვინს ამ მკვდარ ენებზედ? ბარა, ჭეშმარიტათ, ვერ ამიხსნია ჩემის თავისთვის, რა არის მიზეზი ასე გატაცებისა. ერთი კარგი საფუძვლიანი სჯა არც გამიგონია, არც წამიკითხავს. დავიჯერო ახალი ენების სწავლა ჩვენი შვილებისთვის უფრო სასარგებლო არ იყოს? ავიღებ ჩემ თავს მაგალითად, მე უნდა გავსტყდე, რომ აღარა დამრჩა-რა ნამეტნავად ბერძნულისა თავში, მაგრამ მიშლის ეს ჩემი საქმის გონიგრულათ წაყვანას? ამბობენ, თუმცა ძნელია ბერძნულისა და ლათინურის სწავლა, მაგრამ უხსნის გონებას, მესხიერებასა. საკვირველია! თუ ძნელი ენებით მესხიერების გახსნა უნდათ აიღონ რუსული ენა, რომელიც ყველა სამხრეთის ევროპიელისათვის მეტის-მეტი ძნელია. ან არა აიღონ ჩინური ენა და ისწავლონ. რაც საჭირო იყო ჩვენთვის, გვაქვს გადათარგმნილი. უველა კაცი ხომ ვერ დაუწყებს თარგმნას ჩვენს ნუგეშს, ამითი ცოცხალვართ და ამითი ვამაყობთ.

მარტო 19 კაცმა დაუმტკიცა ახლად გარდაცვალებულს ბროსეს გვამს ცეცხლი პატივის ცემა, მარტო 19 კაცმა დაინახა მისგან ნანთხევი ღვაწლი ჩვენს ტკბილის საქართველოსათვის; მარტო 19 კაცმა გამოაცხადა ქართული მწერლობისა და ისტორიის მოყვარეობა; მარტო 19 კაცმა გამოიჩინა ნამდვილი მამულის და ენის სიყვარული. ბანა ეს გულს სამტკივნო საქმე არ არის! მართლად როდის გაეღვიძებთ იმ საშინელს ღრმა ძილისგან. თქვენ გულ-გრილობას, თორემ ეს 19 კაციც საკმაო ბროსეს დიდების ღალადებისათვის; მეტადრე მაშინ, როდესაც ამათი პატივის ცემა შეერთებულია წარმოთქმულს მშვენიერს ქადაგებასთან პატივ-ცემულ არხიმანდრიტ ბრიგორი დადიანისგან.

არ იყოს დავიწყებულ ჩვენთვის, ძვირფასო, ახლად გარდაცვალებულო ბროსეე, წმინდა გვამი შენი და ღმერთმან საუკუნო განვენება მოგცეს...

ქართველი.

სექტემბრის 4 დღესა, ქ. ტფილისი.

სიტყვა არხიმანდრიტის გრიგოლისა ბროსესს გარდაცვალებაზედ

ქრისტეს-მიერ საყვარელნო ძმანო?

„დღეს შევიკრიბენით ჩვენ წმინდასა ტაძარსა შინა, რათა მივსცეთ უკანასკნელი პატივი კაცსა შორიელსა და უცხოსა, რომელმანცა სიყრმითგანვე შეიყვარა ქვეყანა ქართლოსიანთა, ერი, ენა და მისი წარსრული ისტორიული ცხოვრება. დღეს ვეთხოვებით ჩვენ მისს ქვეყნიურ ხორციელ არსებობას, მისს შრომაში განტარებულ ცხოვრებას და ვსწუხყართ, რომ ეს კაცი, ყოველს საქართველოს განათლებულს ოჯახში ცნობილი და სიცოცხლეშივე ჩათელილი რიცხვთა შორის დიდთა და კლასიკურთა საქართველოს სახელთა, მოგველო ჩვენ...

„მაგრამ დავმორჩილდეთ ღვთის განგებულების წინაშე. ბროსსე მოკვდა დღეს ქვეყნისთვის იგივე ბროსსე დაიბადა ისტორიისა და მომავალთა შთამომავლობათათვის.

„მივაგოთ კაცსა საწყაულისა-მებრ თვისისა. ჩვენ გვრწამს, რომ მომავალი, რომელიც იწყება დღეს ამ კაცისათვის, დააფასებს ღირსეულად მისს შრომას. ის დაინახავს, რომ ეს იყო პირველი კაცი, რომელმანც ქართულ მატიანეს და ქართული ენის შესწავლებას მოჰკიდა ხელი იმ რიგით და წესით, რა რიგათაც სწავლობენ საზოგადოდ ისტორიას და ენას.

„ქართლის ცხოვრება“, სანამ ბროსე არ შეამკობდა მას შენიშვნებითა და არ გამოსცემდა ქართულათ და ფრანცუზულად, იყო უხმარ მრავალთათვის. მგონეთ ვახუშტის ღეოღრაფიაც. სანამ ბროსე არ აღსწერდა საქართველოს 1847 და 1848 წელს, მანამ საქართველოს ისტორიული ადგილები იყვნენ უცნობნი განათლებულთა ხალხთათვის.

— ძაკაზი! გააგძელა ეს სიტყვა, ასე გეგონებოდათ, ცდილობდა მოეგონებინა—სად და რომელ კარტის კუთხეში იპოვებოდა ეს ძაკაზი.

— მაშ ნება მომეცით გკითხოთ, რამოდენა და რა სქელი ვაზებია ძაკაზში? მკითხა იმანვე და ცოტა გამაკვირვა, რომ ამ კაცმა პირ-და-პირ ვაზებზედ დამიწყო ლაპარაკი. ჩემ გულში კი ვსთქვი: „ჰო სწორეთ იმისთვის გადაუსვი შენ სასტუმროში რეინის ღვინო, რომ ვაზები ძალიან გაყვარებია.“

— ვენახებში მომეტებულად ერთი-ორი ცერის სისქე და თამამად გაზდილი ბევრჯელ მინახავს ერთიორი მკლავის სისქეც.

— ბუნება თქვენში ძალიან მდიდარი უნდა იყოს?

— მართალსა ბძანებთ.

— არც ქალები არიან ამათში ცუდნი! წამოურია ჩემმა ნაცნობმა სტუდენტმა, რადგანაც მე და ეს შეგხვდით ერთხელ ილლუსტრაციაში ქართველ-

*) იხილე დროება № 185.

„მაგრამ დაუტევოთ აქ ბროსეს მნიშვნელობა როგორც ისტორიკოსისა, სხვები და სხვა დროს იტყვიან ამას. ჩვენ ვნახოთ კაცი მისის ხასიათით და ვისარგებლოთ მისის მაგალითით.

„ბროსეს ცხოვრება ბევრათ მოგვაგონებს იმ მისსიონერთა ცხოვრებას, რომელნიც სტოვებენ სამშობლო მიწას და მიდიან კიდიდან-კიდემდე სოფლისა, რათა აუწყონ სახარება უფლისა. ამანაც ამ ისტორიულ ჭეშმარიტების მოციქულმა დაუტევა საფრანგეთი—თვისი სამშობლო, მაგრამ მაცხოვრისგან მზად დატოვებულ ჭეშმარიტების გასაფენათ კი არა, ისტორიისა და დროებისგან მიფარულ ჭეშმარიტების საძიებლად.

„ამ შორ ქვეყანაში — ორ გვარ კმაყოფილებას ხედავდა მისი გული, ერთი—ევროპაში უცნობი ხალხის გაცნობის გამო და მეორე ამ ხალხის წარსრულით ძველი საზოგადო ისტორიის გაგებით.

„დიდი და მაღალი სიამოვნება უნდა იყოს კაცისათვის ესე ვითარი კმაყოფილება!

„მაგრამ მარტო ამ მოციქულებრივის თავ-განწირულებით არ გვაკვირვებს ჩვენ განსვენებული ბროსე. ის ყველა ჩვენთვის არის მაგალითი დაუღალავი მუშაკობისა. ორმოც-და-ათი წელი იღვწოდა იგი ჩვენის ქვეყნის შესასწავლებლად და მუშაობდა ქვეყნის ხმაურობიდან განშორებული, თავისთვის, სრულიად დაიმედებული რომ მომავალი დააფასებს მისს ეგოდენსა მეცადინეობასა... რა მაგალითია, ძმანო, ესეთი კაცის ცხოვრება! რაოდენი უნდა იყოს ჩვენი მეცადინეობა მამულის შესასწავლებლად, როდესაც უცხო, დიდებული ქვეყნის შვილი მრთელს სიცოცხლეს ჰსწირავს ჩვენს ქვეყანას!

„მიველდით, ძმანო, და შევსწიროთ მადლობა განსვენებულსა ბროსეს და შევევედროთ სული მისი ღმერთსა.

„ძველი იერია, რომლის მინდერებზე ბროსემ, ვითარცა მოციქულმა ანდრიამ, დასდო ნიშანი მომავალი ქართული ისტორიის წარმართებისა, იხილავს, ადრე თუ გვიან, ბროსესგან დაწყებულის საქმის დაგვირგვინებას და თავის მხრით თითონ დაუდგამს მას ნიშანს ამ წარწერით:

„ბროსეს—მადლობელი საქართველო“

„საუკუნოდ დარჩეს ყოველს ქართველის გულში ამ კაცის ხსენება!“

ამან.

ახალი ამბები

—

განცხადების თანახმად, გუშინ შუადღეზე, სიონის სობოროში ყოველადსამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსმა გარდაიხადა ახლად - მიცვალებულის აკადემიკოსის მარი ბროსსეს პანაშვიდი.

დაესწრნენ თითქმის ყველა წარმომადგენელნი ჩვენი ახლანდელ მწერლობისა, ამას გარდა რამდენიმე გარეშე პირი თანამგრძნობი სამშობლო ლიტერატურის, რამდენიმე გიმნაზიელი და სემინარიელი,—მეტი არავინ...

პანაშვიდის გათავების შემდეგ პატივცემულმა არხიმანდრიტმა გრიგოლ დადიანმა წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელმანც ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. ეს სიტყვა აქის ზემოთ იბეჭდება.

* * *

მეფურნეების საქმე გათავდა. თითქმის ყველა დატუსაღებულები გამოუშვეს და დღეს ყველგან პური გამოცხადებულის ტაქციით ისყიდება.

* * *

სოფ. მეტეხიდან (ბორის უეზდისა) გვწერენ, რომ ჩვენს სოფელში ოცდა-ორი კომლი კეთილშობილი და ას-სამოცი გლეხი სცხოვრებენო; ამათ შუა ძალიან კეთილი განწყობილება ჰსუფევსო; მხოლოთ ერთი აზნაური ურევია ბ. ჭ—შვილი, რომელმაც ისე შეაძულა ხალხს თავი თავის მოქმედებით, რომ გლეხები ამის სიკვდილს ნატრობენო. ამ დღეებში ამ აზნაურის სახლს ცეცხლი მოეკიდა, პატრონმა ერთს გლეხზე აიღო ეჭვი, გამომძიებელმა დაატუსაღა, მავრამ ისევ მალე თავდებობით გამოუშვესო.

* * *

ჩვენ მივიღეთ რაჭიდამ შემდეგი ამბავი:

„სოფ. ნიკორწმინდის მახლობლად არის მდ. შაორი, რომლის ერთს ალაგას უწოდებენ სახელად „ძერქის გასაბმელს“ გუბეს. ფერისცვალება დილით შეიკრიბენ მახლობლად მცხოვრებელნი წულუკიძენი და სხვანი მრავალნი რაჭის უეზდის მცხოვრებნი, სურდათ ჩვეულებრივ იმ ზემო მოხსენებულს გუბეში კირის ჩაყრა და თევზის მოწამვლა.

„ჩაყარეს ორმოცი კოდი კირი და ჩავიდნენ ორნი, რომელნიც ნაპირზედ ყრიდენ დაჭერულ თევზს; ესენი იყვნენ: ერთი მიხა წულუკიძე და მეორე არჩილ წულუკიძე.

„დიდ-ძალი თევზის დაჭერის შემდეგ ამოვარდა ერთი დიდი თევზი და როგორც დაინახა წყლის ნაპირზე მდგომარე პლატონ წერეთელმა, ტანისამოსით გადავარდა წყალში იმ თევზის დასაჭერათ; მაგრამ, ნაცვლად დაჭერისა, წყალს მიეცა მსხვერპლად, დაიყვირა მიშველება... მ. წულუკიძემ რო დაინახა თავისი ნათესავი და ძმაკაცი იღრჩობოდა, საშველათ ცურვით მიაშურა, მაგრამ მიახლოვებისათანავე პ. წერეთელი მიხას ხელის ხმარებით კისერზედ დაეჯდა და აღარ დაანება ცურვა; ბევრი ეცადა მ. წულუკიძემ, რომ მოეშორებინა კისრიდან, მაგრამ აღარ გაუშვა. თუმცა კიდევ შეიძლებოდა მათი შველა, მაგრამ არავინ იყო ღვთიანი კაცი. განქრენ მდინარის ზვირთებში.

„მრავალნი იყვნენ მაყურებელნი, და ერია იმათში მცურავნიც, შეიძლებოდა იმათ შველა, მაგრამ ვისმეს მიეწოდებინა; მაგრამ ვაბრალებთ კაცობრივ შურსა, შეუბრალებლობას და საშინელს ულმობელს გულს.

„ოცი საათის შემდეგ ჩაუშვეს თოკით ჭელიძე და ორივე დამძრჩვალნი ამოიტანა.“

სეფე მსეიძე.

„დროების“ კორრესპონდენცია

—

ფოთი, 31 აგვისტოს. ქაპარჭინის ტბას, როგორ რიონს, ირგვლივ უვლის მიწის დაბმა. ამ დამბას ორ ალაგს აქვს გაკეთებული კარები. რიგით ეს კარები კარგ ამინდში გაღებული უნდა იყოს, რომ ყოველნაირ ქალაქის სიბინძურეს გზა ქონდეს ტბაში, ჩასასველი და ცუდ ამინდში უნდა იყოს დაგდულები, რომ წყალდიდობაზედ ქაპარჭინიდამ წყალი ვერ შემოვიდეს ქალაქში.

მე მგონია, კიდევაც ამ მიზნით არის ეს გაკეთებული, მაგრამ ნამდვილად სულ სხვა ხდება: კარები ნაიდაგ გაღებულია, წყალი შემოდის ქალაქში და ვინ იცის რამდენ ნაირ ზიანსა შერება და თან შეწუხებაში არიან ერთი უბნის მცხოვრებლები მაინც. გასრულ წყალ-დიდობის დროს ეს ისტორია ერთხელ კიდევ განმეორდა: გაღებულ კარებში წყალი შემოვარდა და მთელი ერთი უბანი სრულიად დაფარა და დღესაც (მასაქეთ რვა დღეა), თუ არ დროგით ან ფაიტონით, ვერავინ დაიარება. თქვენ წარმოიდგენთ—რა ნაირ შეწუხებაში იქნება მცხოვრებლები.

ამ გვარ ქალაქზედ მზრუნველების დაუდევრობამ ადამიანის სულიც იმსხვერპლა: 29 აგვისტოს ერთ აქაურ ვაჭარს ბარხუდაროვს დაეხრჩო ტბაში ქუჩაზედ ერთი შვილი სამის წლისა.

ერთათ-ერთი ეკლესიის პატრონი გახლავართ და იმაზედაც ვერ მიესულ-

---

ლი ქალების სილამაზის ქებას. (*Der Hausfreund XXIII Iahrqanq 16 Heft*).

— საკვირველი არ არის, რომ მაგათი ქალები ლამაზები იყვნენ. მიუბრუნდა მეორე ნემეცი სტუდენტს, რომელმაც ამაზე ლაპარაკი დაიწყო—„ძაეკაზის ტომი პირველია სილამაზით და თუ ვინმე ეკუთვნის ამ ტომს. პირველად ეგენი.

აქ შეაყენეს ცხენები და მეფაეტონემ შეგვატყობინა, რომ ცხენები უნდა დავცვალოთო, რადგან ამ ალმართზე ეს ცხენები ვეღარ შესძლებენო. ალმართი მართლა საძაგელი იყო. მომეტებული ხალხი ფეხით მიდიოდა, მაგრამ რადგანაც ქვეშ დიდი ტალახი და ზევიდგან წვიმა შეგვაწუხებდა, დავრჩით ჩვენ ფაეტონშივე. მათრახების ტყლაშა- ტყლაშში, გარეშემო ხმაურობაში ვერ გავიგეთ როგორ ავიარეთ ეს ალმართი და როცა ჩვენმა მეფაეტონემ დაუძახა თავის ცხენებს ჩვეულებრივი „ჰუ“ და ცხენებმა ძუგ-ძუგით სირბილი ამოუშვეს, მაშინ დავრწმუნდით, რომ ჩვენ სამშვიდობოში ვიყავით. ცოტა დრო და მანძილი დარჩა ობერ-ამმერგაუნამდი და ეს დრო შესწირეს ნემეცებმა ურიების „გეშეფტს“ (იმათ მოქმედობას—ვაჭრობას). ამ ლაპარაკმა დამარწმუნა, რომ ურია ყველგან ურია ყოფილა, რომ ის სამოთხეშიაც კი თავის „გეშეფტს“ თავს არ დაანებებს.

გამოჩნდა ობერამმერგაუ და ცოტა მსუბუქათ ამოვისუნთქეთ. განელო 10 მინუტმა და ჩვენ ვიყავით ობერამმერგაუში.

წარმოიდგინეთ მაღალ მთებს შუა მშვენიერი, დაცემული, ვაკე ადგილი მშვენიერი მწვანე ბალახით და ყვავილებით; წარმოიდგინეთ, რომ ზოგი ამ გორებთაგან მთლათ შემოსილნი არიან ნაძვის და ფიჭვის ხეებით, ზოგნი თავ-მოხდილნი, მეტის სიბერით გათეთრებულნი, შუბლ შეკრულნი ამყაათ და შურის თვალით ჩამოსცქერიან დაბალ გორების და ვაკე ადგილის ნორჩ ბუნებას: წარმოიდგინეთ ამ ვაკე ადგილას პატარა სუფთა ნემეცების სოფელი და ამის გვერდზედ კარგა მოზდილი ურიყო წყალი, რომელიც, როგორც კეკლუცი, ზნეობით საესე ახალგაზდა ქალი, ისე მალავს თავის პირის სახეს ბალახებში, გეგონებათ პირს არიდებს უცხო სტუმრების ამაყ თვალებსო; წარმოიდგინეთ ყველა ეს და თქვენ გეჭვებათ ზედ მიწევნილი სურათი ობერამმერგაუსი.

ამ სოფელში იყო მიზანი ჩვენის მგზავრობისა. მისელის უმალვე შეუდგით ოთახების შოვნას და ბილეთების ყიდვას. საღამოს 6 სათზე გავაკეთეთ ჩვენი საქმე და გავშორდით მე და ჩემი ნაცნობი სტუდენტი იმ ორ ახლათ გაცნობილ ნემეცებს.

როცა თეატრის კასიდგან დავბრუნდით, შევამჩნიე ერთი რაღაც მოძრაობა ხალხში და აქა-იქ „ძრონ პრინც“-ის ძახილი. რადგანაც ვიცოდი, რომ იმ დროს მომავალი გერმანიის იმპერატორი (ტახტის მემკვიდრე) იქ იმყოფებოდა, მიეხვედი ამ ერთი სიტყვის მნიშვნელობას და ფეხი ავუჩქარე თეატრის გამოსავალ კარებისკენ. ბევრი არ გვაცდევინა „ძრონ პრინც“-მა: გამოჩნდა კარებში. ის იყო სამოქალაქო ტანისამოსში და ღიმილით მოუხადა შლაპა ხალხს. ნეტა გაგეგონათ ის ძალა დატანებული „ურა“ და მაშინვე იტყოდით:

„არა, ბავარიელო ხალხო, შენი თავი მაატყუებ; მე კარგათა ვხედავ, რომ შენ ძალიან არ გიცემს გული პრუსიის ხელმწიფისათვის და იმის შვილისათვის. შენ თითქმის არც კი შეგატყობინეს, როგორ შეაერთა ბისმარკმა შენი ქვეყანა, შენი ბედი, პრუსიის ბედთან. არა, „ძრონ პრინც“-ო, ათასი გაულიმილო ბავარიის ხალხს, შენ კარგათა გრძნობ, რომ ლუდვიგო II (ეხლანდელი ბავარიის კოროლი) ამათთვინ უფრო ძვირფასი ვინმეა, მინამ შენ და მამაშენი. არა, ბისმარკო, გერმანიის

ვართ, რადგან ირგელიე ქაპარჭინიდამ შემოსრული წყალი ადგია. ამაზედ ზრუნვა, რასაკვირველია, პოლიციის საქმეა, მაგრამ რა გონიერ განკარგულებას მოსთხოვ იმისთანა პოლიციას, რომელსაც რეა მანეთიანი ნამწერალევი საყველ-პურო რუსულის მცოდნე აგენტები ყავს? რა გამოცდილებას, რა თავის მოვალეობის ცოდნსა მოსთხოვ? . . . .

ჯ—გელი.

ბერძენი გეროსტრატე და ბ. იოსელიანი.

ნეტარი ხსენებული ალექსანდრე მაკედონიელი დაიბადი სწორედ იმ ღამეს, როცა ერთმა სულელმა ბერძენმა, სახელად ბეროსტრატემ, დასწვა მშვენიერი დიანის ტაძარი ეფერში.

— უჭკუო, ბერძენო, რათ ჰქენი ეგრეთი საზარელი საქმე? რისთვის დაუკარგე კაცობრიობას ეგრეთი მშვენიერი ხელოვნების ძეგლი?

— მსურდა სახელი ჩემი ქვეყანაზედ განთქმულიყო, მსურდა საუკუნოებს არ დავეიწყებოდი.

აჰა პასუხი, რომელსაც აგებს შთამამავლობის წინაშე ბეროსტრატეს აჩრდილი.

ეს ამბავი მოხდა, ბატონო ჩემო, სამას ორმოც-და-თექვსმეტსა წელსა იესო მაცხოვარის დაბადებამდი.

ათას-რვაას-ოთმოცსა წელსა მარტსა (რომელსა რიცხვსა და დღესა, ბოდიშს ვითხოვ, არ მახსოვს), შეადგინა ბ. ბ. იოსელიანმა ისტორიის სახელმძღვანელო, რომელსაც თვითონ ავტორი უწოდებს „თხზულებას.“ მუმცა ბერძენს ბეროსტრატეს და ბ. ბ. იოსელიანის შუა საუკუნოებმა განელო, მაგრამ ორთავეს ერთი და იგივე შეხედულობა ჰქონიათ უკვდაეებაზედ; ორთავეს ერთი და იგივე საშუალება უხმარიათ, რომ მათი სახელი არ დაკარგულიყო უკუნითი-უკუნისამდე. მხოლოდ ბეროსტრატემ მიაღწია თავის მიზანს, იოსელიანს კი დროზედ ხელი შეუშალეთ. ბეროსტრატემ დასწვა ტაძარი ყოელის მშვენიერებით შემკობილი, ბ. იოსელიანს უნდოდა თავის წიგნით დაემახინჯებია ახალგაზრდობის გონიერობა და ნორჩი ტვინი.

მაგრამ დროზედ მივასწარით.

— ეჰ! ჰფიქრობს ბ. ბ. იოსელიანი, ამ გზით ჩემი სახელის განთქმა ვერ მოვახერხე, მოდი ერთი პოლემიკა გავმართო: ეგება ამით გავაცნო ქვეყანას თავი! რადგან ამ ასპარეზზე ის უვნებელია, ამისათვის დამილოცავს მისთვის გზა; სამწუხაროდ, დამიბრუნებიხართ, ბ. იოსელიანო!

გლ. მიქელაძე

P. S. ამით მწადდა დამებოლავებინა ჩემი პასუხი, მაგრამ ბ. იოსელიანი შემიბრალეო, მთხოვს, პასუხი მიგეო. აცმა კარგი ჰქენი, მარილიც მოაყარეო, ნათქვამია. რა გაეწყობა! ძიდევ პატივსვსცემ: ვინ იცის, ეგებ მართლა სახელი გაუვარდეს. რა მენაღვლება, შეიტყოს ქვეყანამ, რომ დედა-მიწაზედ სცხოვრობს ერთი ვინმე ბ. იოსელიანი, რომელიც დიდი... და სხვ....

მე ვსწერდი, რომ თქვენი შრომა მრთლად წავიკითხე-მეთქი. ეს როგორ ვერ გაიგეთ, რომ მე მხოლოდ იმის წაკითხა შემეძლო, რაც გადმოცემული მქონდა? კომიტეტმა გადმომცა საშუალ და ახალ საუკუნოების ისტორია. ეს საუკუნოები შეადგენენ ვრცელს პერიოდებს, რომელთა დიდი დამოკიდებულება არა აქვთ საბერძნეთის და რომის ისტორიასთან; ნუ თუ თხზულებაზე, რომელნიც შეიცავს ამ საუკუნოების მოთხრობებს არ შეიძლება საფუძველიანი ჰაზრის წარმოსთქმა და მათი დაფასება? როცა მე ვამბობდი მრთლად წავითხე-მეთქი, მეგონა, ბ. იოსელიანი გაიგებდა, რომ ის წავიკითხე, რაც მე ხელში მქონდა. ეგებ ბ. იოსელიანს სხვამ რამ „თხზულებაც ჰქონდეს თავის კაბინეთში, ნუ თუ იმაზედ დავიწყებდი ლაპარაკს?

მიკვირს, როგორ ბ. ბ. იოსელიანის გამჭრიახე ტვინმა ვერ შესძლო მზგავსი უბრალო მოსაზრების გაგება!

გარდა ამისა ხუთს საგანსა მკითხავს ბ. იოსელიანი:

1) მქონდა თუ არა მრთელი მისი თხზულება კომიტეტისაგან გადმოცემული?

მქონდა გარდმოცემული მრთლად საშვალ და ახალ საუკუნების ისტორია, რომლებზედაც, სამწუხაროდ, რამოდენიმე დღე უნამყოფოდ დავჰკარგე.

2) წაიკითხე თუ არა თავიდამ ბოლომდისო?

ბონიერი კაცი ამას არ მკითხავდა შემდეგ ჩემის პასუხისა.

3). მართალია თუ არა, რომ პირველი ნაწილი (საბერძნეთის და რომის ისტორია) ჩემის თხზულებისა არც შენ და არც კომიტეტს არ უნახავსო?

მართალია: თქვენი ნაწერის ღირსება, რაც ხელში გვჰქონდა, იმითაც ადვილად დაიფასებოდა ზემოხსენებული მიზეზის გამო.

4). მართალა თუ არა, ბევრი ვეწვალე, მინამ ჩემს „თხზულებას“ ხელ-ახლავ ხელში ჩავიგდებდიო?

კომიტეტმა თქვენ გაწვალოს, მე რაო?

5). მართალია წარუდგინეთ თქვენ კომიტეტს თქვენი ჰაზრი პატარა ნაგლეჯ ქალალდზე, თუ არაო?

სწორეთ ეს კითხვა სასაცილოა და ამისი პასუხის გება სათაკილოა, მაგრამ რადგან ამ „ნაგლეჯ—ქალალდის“ ჯავრი ჩაჰყოლია.

ბიორგი იოსელიანს, რა გაეწყობა! დავიმდაბლებ თავს და აუხსნი: მე სიტყვიერათაც შემეძლო მომეხსენებია კომიტეტისათვის, რომ ბიორგი იოსელიანის „თხზულება“ საკითხავათ არა და სხვაფერ ყველაფრად გამოსადეგია-მეთქი. მაგრამ ბ. ბ. იოსელიანს მაინც პატივი ეცეს: წერილით შეეკითხე და იმის სტერლინგებს თავი მოუხარონ! სწორეთ მოგახსენოთ ეს ბივსტექსები თავის ამაყობით ძალიან შესაზარი ხალხი არიან. მართალია შაილგაგენი, როდესაც ის სხვისა პირით ინგლისელს უგულო ცივ ეგოისტს უწოდებს.

ის საღამოთი დავდიოდიდ მე და ჩემი ამხანაგი ოპერამმერგაუს გარშემო გორების, ტყის და ველის დათვალიერებლათ. სწორეთ ისე მეგონა ჩემ სამშობლო ქვენის მთებში ვარ სადმე-მეთქი. ბარჩევა იმაში იყო, რომ ჩვენში ხანდახან ანუ უფრო მომეტებულ ნაწილათ მზე თავის სუსხი სხივებით მოსტუსავს ხოლმე ბალახს და უკარგავს შნოს ბუნებას, აქ კი სუყველაფერი სიცოცხლით სუნთქავდა და აღძრა ჩემში, უნდა გავტყდე, ყმაწვილური შური.

ამ საღამოთიევე ვნახეთ ერთი უზარმაზარი მარმარილოს ქვის ჯვარცმა და ორიე მხრიე ღვთის მშობელი და მოციქული იოანე. ჩემ სიცოცხლეში ამისთანა სუფთა და გასაოცარი ნაყოფი კაცის ხელისა ბევრი არა მინახავს-რა. დიდი ხანი ვიდეგი იმ ყველა ჯურის ხალხში და შევსცქეროდი სახსოვარს ხან ერთის და ხან მეორე მხრიდგან, მანამ მთებიდამ ჩამოწოლილმა ბინდმა არ გვაცნობა, რომ ეხლა დროა ამოვიღოთ კარანდაშები და შემდეგი სიტყვები გადმოვსწეროთ: „ლუდვიგო II. ქრისტეს წვალების წარმოდგენის მოსაგონებლათ“ (ლუდვიგი II არის ეხლანდელი ბავარიის კოროლი.)

შ. ისაკიძე.

მიუნხენი, 2 აგვისტოს.

(გაგრძელება)

უცხოეთი

წვრილი ამბები: ავსტრიის იმპერატორის ფრანც-იოსების მოგზაურობის გამო ბალიციაში ერთი ნემეცური გაზეთი შემდეგს ამბობს: „ავსტრია პოლშელებს არა თუ ხელს უწყობს პოლშელებად დარჩენისათვის, არამედ ბალიციის ნემცებისა და რუსინების გაპოლშელებისათვისაც ეხმარება. ის აღტაცება, რომლითაც პოლშელები დაუხვდენ ფრანც-იოსებს, იმას ჰნიშნავს, რომ თუ რუსეთი მოინდომებს ბალკანიის ნახევარ-კუნძულზე ავსტრიის საქმეების ჩაშლას, მაშინ თავის პოლშურს მაზრებში თვითონვე გაიჯახირებენ საქმეს“.

—

სტამბოლის გაზეთს ჯჩითში სწერენ, რომ ბერძნების ბანდა, რომელიც ალბანეთში შეიპარა, ბოლოს და ბოლოს ალბანელებმა დაამარცხეს და ბერძნებს ალბანეთიდამ გამოაძევეს.

—

ბერლინის კონგრესის ოქმების ფრანცუზული ტექსტი ეხლა ბეჭდვაშია. ინგლისელებს ეწყინათ, რომ ინგლისურ ენაზედ ოქმები არ დაბეჭდეს და ამის გამო ინგლისის ელჩმა ბერლინში ლორდ ოდომ ბისმარკს ეს საკითხი წარუდგინა. ბისმარკმა უპასუხა, რომ ინგლისელებს ეს ჯერ არ მოუთხოვიათ და ამიტომ ინგლისურ ენაზედ ოქმები არ დაბეჭდილა. ეხლა ინგლისელებს ინგლისურ ენაზედ ოქმების დაბეჭდვა მოუთხოვიათ და ბისმარკმა ბრძანა, რომ ინგლისურ ენაზედ ოქმები დაბეჭდონ.

—

ინგლისის ელჩმა ბერლინში ლორდ ოდომ ბისმარკს ეს საკითხი წარუდგინა. ბისმარკმა უპასუხა, რომ ინგლისელებს ეს ჯერ არ მოუთხოვიათ და ამიტომ ინგლისურ ენაზედ ოქმები არ დაბეჭდილა. ეხლა ინგლისელებს ინგლისურ ენაზედ ოქმების დაბეჭდვა მოუთხოვიათ და ბისმარკმა ბრძანა, რომ ინგლისურ ენაზედ ოქმები დაბეჭდონ.

—

ინგლისის ელჩმა ბერლინში ლორდ ოდომ ბისმარკს ეს საკითხი წარუდგინა. ბისმარკმა უპასუხა, რომ ინგლისელებს ეს ჯერ არ მოუთხოვიათ და ამიტომ ინგლისურ ენაზედ ოქმები არ დაბეჭდილა. ეხლა ინგლისელებს ინგლისურ ენაზედ ოქმების დაბეჭდვა მოუთხოვიათ და ბისმარკმა ბრძანა, რომ ინგლისურ ენაზედ ოქმები დაბეჭდონ.

—

ინგლისის ელჩმა ბერლინში ლორდ ოდომ ბისმარკს ეს საკითხი წარუდგინა. ბისმარკმა უპასუხა, რომ ინგლისელებს ეს ჯერ არ მოუთხოვიათ და ამიტომ ინგლისურ ენაზედ ოქმები არ დაბეჭდილა. ეხლა ინგლისელებს ინგლისურ ენაზედ ოქმების დაბეჭდვა მოუთხოვიათ და ბისმარკმა ბრძანა, რომ ინგლისურ ენაზედ ოქმები დაბეჭდონ.

რია. ვითომც ავსტრიას ეცნობებინოს Ოსმალეთისათვის რომ ზღვაზედ დემონსტრაციას არავითარი დამოკიდებულება ექმნება საბერძნეთის საზღვრის საქმესთანა.

—

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ სამინისტროს თავმჯდომარემ Ყადრიფაშამ წინადადება მისცა Დულცინიის მცხოვრებლებს, ვისაც გსურთ მდ. Ბოიანის სამხრეთით გადასახლდითო. პორტას იმედი აქვს, რომ ეს წინადადება მიღებული იქნება Ალბანიელთაგან და, ამ ნაირად, თავიდამ აიცილებს სახელმწიფოთა ფლოტის დემონსტრაციას.

—

Დოქსფორდიდამ რუსულს გაზეთს **გოლოსს** სწერენ: „ხალხთა შორის უფლების ინსტიტუტს დღეს კრება ჰქონდა, რომელშიაც განსაჯეს პოლიტიკურ დამნაშავეთ გაცემის საქმე. Გადასწყვიტეს რომ იმისთანა მოქმედებანი, რომელნიც საზოგადო უფლების წინააღმდეგს დანაშაულობათა ეკუთვნიან მარტო იმ მიზეზით, რომ ისინი პოლიტიკურის მიზნით იყვნენ ჩადენილნი, არ უნდა გამოირიცხონ იმ რიგ დანაშაულობათაგან, რომელთ ჩამდენი დანაშაულნი გაიცემიან.

—

Რაგუზიდამ იწერებიან, რომ გაწრთენილი ჯარი სამი თაბორი ამ დღეებში Დულცინიოსთან დაბანაკდაო. Ლიგას გარდაუწყვეტია წინააღმდეგობის გაწევა. Ჩერნოგორიელები Დულცინიოს საზღვარზე დგანან. Პერიდამ მოვიდა დეპეშა, ვითომც გუშინ სკუტარიაში ხელ-ჩართული ომი მოხდა Ოსმალოს ჯარისა და Ალბანიელთ შორის.

განცხადებანი

—

ᲮᲛᲐ ᲓᲔᲕᲜᲣᲚᲗᲐ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲔᲑᲐᲜ

ძენო და ასულნო Ივერისანო,! Უეჭველია არა-ერთ გზის გსმენიათ თქვენ ძველთაგან მოთხრობით დიდებული სახელი Ივერთა მონასტრისა, აღშენებულისა კეთილ-მსახურთა თქვენთა წინაპართაგან, მთასა ზედა წმინდასა Ათონისასა, ქრისტიანობის პირველათა საუკუნეთა შინა.

Დაფუძნების-თანავე მიმისა საავანე ესე აღირჩია თვით კერძოთ ყოვლად წმიდამან დედამან ღმრთისამან და გამოაჩინა მას შინა სასწაულ-მოქმედი ხატი თვისი, განთქმული დიდებითა ყოველსა კიდესა ქვეყნისა სახელ-წოდებით „Დედა-ღმრთისა Ივერიისა“.

Ამა მონასტერსა-შინა მიისწრაფოდა საცხოვნებელად სულისა თვისისა ყოველ კეთილ მოწიწე შვილი საქართველოისა: თითოეული კახელი, ქართლელი, იმერელი, მეგრელი და გურული დაისხამდნენ მუნ ღვაწლითა თვისითა წინაშე ღმრთისა სიწმინდესა და უხრწნელებას. Მის არ გსმენიათ თქვენ სახელნი Ათონისა მთისა ნეტართა მამათა: წმინდა Იოანე Ალმაშენებელისა, Დიდისა Ექთვიმის, Ბიორგი მთა-წმინდელისა და სხვათა შთამომავლობითა ქართველთა. ხოლო რომელსაც არძალ-ედგა და ღირს არა ხდებოდა შესვლად ამა სანატრელსა სავანესა-შინ, ისინი შესწირვიდენ მას ოქროსა და ვერცხლსა, მიწასა და წყალსა სადიდებელად ამისა და საოხად სულისა თვისა.

Ამა სახითა მონასტერი ესე იყო ფრიად მდიდარი და აღიზრდებოდნენ მუნ ძენი ქართულთა კეთილის ზნითა და მეცნიერებითა. ხოლო ოდესცა მაჰმადიანთ ძალამან და შინაურმა უთვისობამან დასცა ქართველთა ერნი და სამეფონი, მაშინ თან-დათან შემცირდა და შესწყდა დინება ქართველთა ამა მონასტერსა შინა და დაემკვიდრენ მუნ ბერძენნი, რომელთა ჟამთა განმავალობასა შინა სრულიად მიითვისეს იგი ყოველისა მის დიდებითა და სიმდიდრითა; განდევნილ-ჰყვეს მისგან ქართველნი, მიგვიღეს ჩვენ და უპატიოდ სტოვეს გვამნი წმინდათა მამათა ჩვენთა, მუნ განსვენებულთა,

Ამის-თვის ჩვენ ობლად ქმნილთა და გაღატაკებულთა მონაზონთა და მორჩილთა, კურთხევითა, შეკრებილთა ყოველის კიდისა საქართველოისათა: Კახეთით, Ქართლით, Იმერეთით, Სამეგრელოთი Გურიათი, კურთხევითა ყოველად სამღვდელო ეპისკოპოზთა Იმერეთისა, Სამეგრელოსა და Გურიისა და შემწეობითა კეთილ-მორწმუნე ქრისტიანეთა აღვაგეთ მახლობლად დიდისა Ივერიის მონასტრისა მცირე სავანე წმინდისა, მოციქულისა Იოანე Ღვთის-მეტყველისა და ვიწყეთ მასთანავე ზრუნვა რათა დაბრუნებულ გვექმნეს ჩვენ და მომავალთა ჩვენთა წმინდა საუნჯე ჩვენი დიდებული მონასტერი Ივერიისა.

Ამა ჩვენსა ზრუნვასა და თხოვნასა ხელყო ჩვეულებრივის მისის სურგძელებითა და მოწყალებითა ხელმწიფემა მთავარმან ნამესტნიკმა Კავკასიისამ მიხაილ ნიკოლოზის-ძემან. Ბრძანებითა მისის უმაღლესობისათა უკვეაღძრულ არს წარმოება საქმისა სამეფოთა ქალაქთა შინა Პეტერბურგსა და სტამბოლსა და ჩვენ იმედნეული ვიქმენით, რომელ მეცადინეობა ჩვენი არ დარჩეს უნამყოფოდ. Ბარნა საქმისა ამისთვის საჭირო არის დიდი ჩვენგან დევნა და ხარჯი, ხოლო ჩვენ მოკლებულ ვართ ყოველსავე საშვალებასა და წინააღმდეგნი ჩვენი კი არიან შეჭურვილნი სიმდიდრითა, ჩვენთავე მამაპაპათაგან.

Ამისათვის და რადგან მცირე სავანე Იოანე Ღვთის-მეტყველისა არა არს ჯერედაც შესრულებული და მისთვის საჭირო არის არა-მცირედი საფასე, ჩვენ მოვიელტვით წინაშე თქვენსა, კეთილ-მსახურნო ძენო და ასულნო საქართველოისანო, და მოვითხოვთ შემწეობასა ფულითა, ანუ ნივთითა, ვისაცა როგორ მოეხერხების, საოხად სულისა თვისისა, მოსახსენებელად მიცვალებულთა და სანუგეშოდ შვილთა და მომავალთა მისთა. Განსაკუთრებით ელაღდებთ თქვენდა, გვამნო ქრისტესა მეუფისა სამსახურად შემოსილნო, ყოველად-სამღვდელონო მწყემსთ-მთავარნო, მაღალ ღირსნო არხიმანდრიტნო, პატრიარქანო მღვდელო და ქრისტეს მიერ დიაკონნო, აღახვენით ბაგენი თქვენნი მოწოდებად სამწყსოთა თქვენთა შემწედ ღვთისა სათნოსა ამის საქმისა.

ხოლო ვისაც ენებოს წარმოგზავნა ჩვენდა შესაწირისა, კეთილ ინებონ მიიქცენ ისინი შემდგომთა პირთადმი: **ქუთაისს**—ყოველად-სამღვდელო Გაბრიელს ეპისკოპოზს Იმერეთისა და მოძრიგებელს მსაჯულს Დავით Ნიკოლოზის ძეს Გაქრაძეს; **ტფილისში**—ყოველად-სამღვდელო ეპისკოპოზს Ალექსანდრეს, Აფხაზეთის უფროს ბლაღოჩინს დეკანოზს Დავით Მაჭავარიანს.

მიღებისათანავე შესაწირისა სავანე ჩვენი გამოუგზავნის შემწირველთა კანონიერსა კვიტანციასა, და თვითოეული სახელი შემწირავთა შთაწერილ იქმნების მონასტრის კონდაკსა შინა საუკუნოდ მოსახსენებელად. მსურველთა შეუძლიანთ გაგზავნონ შესაწირი პირ-და-პირ Ათონს შემდეგის ადრესით: **На Аѳонъ, въ русскій св. Пантелеймона монастырь настоятелю Архимандриту Макарію, для передачи въ Ново-Иверской св. Іоанна Богослова обители, старцу Венедикту или Іеромонаху Іоанѳ.**

საუკუნო მოსახსენებელი ერთი დღე სამ გზის—სამოცი მანეთი.

საუკუნო მოსახსენებელი კვირაში ერთ გზის—ოც-და-ათი მან.

საუკუნოდ მოსახსენებელი თვეში ერთ გზის—ათი მან.

წლის განმავალობაში დღიურად პანაშვიდით მოსახსენებელი—15 მან.

წლის განმავალობაში დღიურად უპანაშვიდოთ მოსახსენებელი—7 მან.

Ორმოცი წირვისათვის—სამი მან.

Ორმოცი დღის მოხსენებისათვის—ერთი მანეთი. (3—2)

რესტორანს

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ

Გოლოვინის პროსპექტზე თ. მუხრანსკის სახლებში 6-ს სეკტემბერს, შაბათს, იქნება **ᲛᲣᲖᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ** საღამო, ხოროთ სამხედრო მუზიკისა, იწყება საღამოს 7 საათზედ.

ისმინეთ შეხედეთ და გაიკვირვეთ!

Ამ ცოტა ხანში გაკოტრდა ერთი დიდი ფაბრიკათაგანი, რომელიც „ბრიტანია“-თ წოდებულ ვერცხლით ვაჭრობდა. Ამ ფაბრიკისაგან ჩვენ მივიღეთ „ბრიტანია“ ვერცხლის საქონელი, რომელსაც ზედ აკრავს ფაბრიკის დაღი „ნამდვილი ბრიტანია“ და ვჰყიდით ყოველ ნაირ ფასად, ანუ უკეთ ესთქვათ

მუქთად

ვაძლევთ. Ვინაც 7 მან. ქაღალდის ფულად გამოგზავნის იმას შემდეგი ნივთები გაეგზავნებათ ღირებულზე ოთხ-ჯერ უფრო იაფად:

6 ცალი მშვენიერი სტოლის დანები, ტარი აქვს „ბრიტანია“ ვერცხლისა, პირი ნამდვილი ინგლისური.
6 — — მშვენიერი ჩანგლები, ერთიან „ბრიტანია“ ვერცხლისა.
6 — — მშვენიერი სტოლის მძიმე დანები.
6 — — საუკეთესო ხარისხის საყავე დანები.
6 — — „ბრიტანია“ ვერცხლის ბოძკინტი.
1 — — საწვნე მძიმე კოვზი.
1 — — საყავე მძიმე კოვზი.
6 — — ინგლისურს ტაბაკებს (ფოდნოსი) „*victoria*“ მშვენიერად მოხატული.
2 — — კოხტა სტოლის შანდალი.
1 — — ჩაის საწური „ბრიტანია“ ვერცხლისა.
1 — — ფინჯანი შაქრის ანუ პილპილის შესანახავი.
6 — — მშვენიერი ნალბაქი კვერხის ანუ ეოდკისათვის.
1 — — „ბრიტანია“ ვერცხლის საყავე სქემა.
1 — — „ბრიტანია“ ვერცხლის კალათი მწვანილისათვის.

Სულ 50 ნივთი წინედ 70 მან. ღირებულნი და ეხლა კი 7 მან. Ეს ნივთები „ბრიტანია“ ვერცხლიდამ მშვენიერად არიან გაკეთებულნი. Ეს ვერცხლი ეროვნულ-ერთი ლითონია, რომელიც მუდამ თეთრად არ რჩება, ასე რომ 25 წლის ხმარების შემდეგ განირჩევა ნამდვილ ვერცხლისაგან. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲘᲡ ᲕᲐᲒᲔᲑᲗ.

Ერთად-ერთი ადგილი მთელი Ევროპისათვის, სადაც შეიძლება ეს ვერცხლი შეუკვეთონ არის Უმთავრესი Დეპო Ინგლისის ფაბრიკის „ბრიტანია“ ვერცხლისა.

ლ. ნელკენ, ვენაში (*VI, Vindmuhlgasse № 26, Wien*).

Ჩემი განცხადება რომ ტყვილი არ არის ამის დამამტკიცებლად აქ გავიმეორებ ქების წერილებს და მადლობათა და განმეორებულს შემოკვეთებას რომელნიც მრავალი სიმიღია მთელი იმპერიიდამს და პოლშის სამეფოდამ: Ჟენქ Ლავრინოვიჩი Ვორონოვიდამ; მაიორ სოკოლოვსკი—მოლდავა, Ად. Პრჟიბოროვსკი—პენცინე, Კ. Კორჟინკი Გორდინში, მ. ხმელნიცკი—სპისეკ, Ი. პლიურსკი—მეძიანა და სხვ. და სხვ. Ავსტრია—Ვენგრიიდამ—მარიამ თ. Აუერსპერგ Ნიდდერშტატში, Ვირტემბერგ, Ღენერალი Ფაბრიცინა რაატში, Ი. რაბე სებასტიანბერგში, თ. Სამღერი Გერში, Იოს. Ჰიხბერგერი სალცბურგში, Გერარდ Ერხი Გაჩევოში, Ნოტარიუსი Იმარე-მოლნარი Გრას Ბეცეკერეკში, Იოს Ნეიდეკერი Გმუნდენში, Დიმიტრი Კოპიც—Არად. Იოს Შოდერბეკ Ქაინისში და სხვ. და სხვ.

Რადგანაც ბევრი გვიკვეთენ ამ ავეჯეულობას, მსურველებს ვთხოვთ მალე გვაცნობონ თავიანთი მოთხოვნილებანი. Შეკვეთის დროს გთხოვთ ცხადათ და გარკვეულად ამოიწეროთ ადრესი, რომლითაც ავეჯეულებანი გამოიგზავნებიან. Გადასახადი და სხვა ხარჯი გაგზავნის დროს ერთობ ცოტაა და, ვგონებთ, ერთი მან. მეტი არ იქნება. Სხვა ფირმებისაგან განცხადება ამ ავეჯეულებაზედ მხოლოდ მიბაძვაა.

(6—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 5 Сентября 1880 г. Типографія Меликова Გამომც. ს.ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. რედაქტორები ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ და ს. ᲛᲔᲡᲮᲘ